

## იუჯინ ო'ნილი

### ქსელი

ინგლისურიდან თარგმნა ანანო ხუბუტამ

#### პერსონაჟები

როუზ ტომასი

სტივი – სამხედრო, კადეტი

ტიმ მორგან – დამნაშავე

პოლიციელი

ორი გადაცემული აგენტი

ნიუ-

*იორკი, ქვედა ვესტსაიდი. ჭუჭყიანი საძინებელი ოთახი, მრავალსართულიანი პანსიონის ბოლო სართულზე. ალაგ-ბ-*

*ალაგ ჩამოხეული და გაშავებული შპალერიდან ბათქაში მოსჩანს, ღია ფანჯრიდან სახანძრო კიბეს ვხედავთ, რომელზეც ერთი ბოთლი რძე დგას. მარჯვნივ შემოსასვლელი ოთახის კარია, მარცხნივ პირსაბანზე ჯამი და დოქით დგას. ტუალეტის მაგიდაზე გაზეთებია მიმოხრეული. პირსაბანის მაღლა უცნაური სარკე კიდია. ოთახის შუაში მორყეული მაგიდა და სკამი დგას.*

*მმარცხენა კუთხეში, მაგიდასთან ახლოს ფანჯარასთან საწოლში ბავშვს სძინავს. გაზის გამათბობელი ოთახში სინათლის ერთადერთი წყაროა.*

*22 წლის როუზ ტომასი, შავთმიანი ახალგაზრდა ქალია, თუმცა შეხედულება ოცდაათის აქვს. სკამზე ზის და იაფ ფასიან სიგარეტს ეწევა. მაგიდაზე ცარიელი ლუდის ბოთლი და ჭიქა დგას, იქვე დევს გამხმარი ფრთის მსგავსი ქუდი. როუზს საოცრად უგემოვნოდ აცვია. უკეთია ბრჭყვიალ საყურეები, სამაჯურები, ბეჭდები, მაგრამ არცერთი ღირებული. გაღეულ, საბედისწეროდ ფერმკრთალ სახეზე ჩაცვნილი თვალები მგ ზნებარედ უელავს. დროდადრო სევდიანად და დიდი სითბოთი გადახედავს ხოლმე იქვე მდგომ საწოლს. ხანდახან უსიამოვნოდ ახველებს და მთელი სხეულით ირხევა. შეტევის დროს ტუჩებზე ზიზლით იფარებს ცხვირსახოცს. ადრეული ზაფხულის წვიმიანი საღამო იდგა. წვიმის წვეთების მონოტონური ხმა მყუდროებას არღვევს.*

როუზი (წვიმის ხმას უსმენს და სიგარეტს უხალისოდ დაადგებს მაგიდაზე) ღმერთო, რა ღამეა. (მწარედ იცინის) რა მაგარ დღეში ვარ! (უეცრად ხველება აუტყდება, დგება საწოლთან მიდის, ნაზად იხრება და ბავშვს შუბლზე კოცნის. შემდეგ აქვითინებული ტრიალდება და უკან ბრუნდება) რა ცხოვრებაა! საწყალი ბავშვი. (სარკესთან მიდის და მაკიაჟს იკეთებს. ფერუმარილი განუკურნებელ დაავადებას კიდევ უფრო უსვამს ხაზს. მაკიაჟის დასრულების შემდეგ ქუდს იხურავს. ამასობაში ოთახში ფეხაკრეფით შემოდის სტივი და კარს ხურავს. ეტყობა რომ ნასვამია. ერთი შეხედვით ნამდვილი სამხედროა, გაწყვილილად ჩაცმული. თავივით წვრილი თვალები აქვს. სახეზე აშკარად ეტყობა ნარკოტიკის და სასმელის კვალი.)

როუზი (შემინებული სწრაფად დებს ქუდს მაგიდაზე) გამარჯობა სტივი!

სტივი (ათვალ-ჩაათვალიერებს, ჩაიცინებს) საშინლად გამოიყურები! (ოთახში რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს და სკამზე ჯდება) მკვდარს გავხარ. გულს ნუ გაიტყებ, ცოტა საღებავი წაისვი, თორემ მოჩვენება ეგონები ადამიანს.

როუზი (სწრაფად მიდის სარკესთან, ისევ ისვამს ფერულარილს და ბრუნდება) შემომხედე სტივ, ასე უკეთესია?

სტივი უკეთესი? შეიძლება. (ცარიელ ბოთლებს მიაშტერდება) მომეცი სასმელი!

როუზი ხომ იცი რომ მეტი აღარ არის. აი, იქ დევს ბოთლი გუშინ დამეს რომ მოიტანე.

სტივი (გაღიზიანებული) ნუ მატყუებ, სადმე გექნება შენახული, მშვენივრად ვიცი რომ მიმაღავ.

როუზი არასდროს დამიმაღავს, მშვენივრად იცი! ნუთუ ასე მიხდი მაღლობას ყველაფრისთვის? რას იზამდი მეც რომ ისე გექცოდე, როგორც ბესი ექვევა შენს მეგობარ ჯეკს? ბესის შეუძლია ნებისმიერ დროს მიატოვოს ჯეკი და მან ეს კარგად იცის, ამიტომაც მასზეა მიწებებული. არ შეგიძინებია, როგორ დასდევს ერთი დოლარისთვის, როგორც ვიცი, მისი დაკარგვის ეშინია, შენ კი არც მიფრთხილდები!

სტივი (ფარისევლურად) მოკეტე! მაგიჟებს შენი უაზრო საყვედურები. საიდან მოიტანე რომ შენს დოლარებს დავსდევ? (გესლიანად) არა მგონია ჯეკი სწორად იქცოდეს, ბესის რომ ჰყავს გამოჭერილი. ვეტყვი რაც საჭიროა და თუ დამიჯერებს ბესი მიიღებს საკადრისს!

როუზი კარგი რა, ასე ნუ მოიქცევი. რა ერჩი? შენთვის ხომ არაფერი დაუშავებია?

სტივი არა, მაგრამ ჭკუას ისწავლის, მეტი არაფერი. უნდა მიხვდეს რომ ქმარს არ უნდა ეუფროსებოდეს. კაცებს ერთად დგომა გვმართებს. რა გვეშველებოდა ყველას ერთი დოლარისთვის ცოლებზე ხვეწნა რომ გვიწევდეს?

როუზი (გულდამძიმებული) ნუ მეკითხები, არ ვიცი. არ იქნება სწორი (ისევ ხველება უტყდება)

სტივი (ნერვებაშლილი) ჯანდაბა! ნუ დამჩხავი. ჩემი გადმოსახედიდან სწორია. მშიდი რამე დამამშვიდებელი დალიე. რატომ არ სვამ?

როუზი (ტუჩებს ცხვირსახოცით იწმენდს) დაავლიე, მაგრამ არაფერი მიშველა.

სტივი მაშინ სხვა რამე ქენი. ერთი თვის წინ გითხარი ექიმთან წასულიყავი. იყავი?

როუზი (განერვიულებული, პაუზის შემდეგ) არა!

სტივი კარგი მაშინ. ვერაფერში დამდებ ბრალს. ეს უკვე შენი საქმეა.

როუზი (აღელვებული ლაპარაკობს, თითქმის ტირილის პირას) ეს ღამე გამათენებინე და ხვალ წავალ. ცუდად ვარ (მკერდზე უთითებს) აი, აქ მტკივა, ისეთი შეგრძნება მაქვს თითქოს შიგნიდან ვიწვი. თავბრუ მეხვევა, გარშემო ყველაფერი ტრიალებს. თანაც გარეთ წვიმს, ჩემი ფეხსაცმელი კი წყალს ატარებს, ქუჩაშიც არავინ დადის და რომც დადიოდეს, ამდენი ხველებით შევაშინებდი. გთხოვ სტივ, ღვთის გულისთვის, ცოტა ფული მომეცი. ყველაფერს უკლებლივ დაგიბრუნებ, რასაც ვიმოვი შენი იქნება.

სტივი (გაოცებული და აღშფოთებული) ფული? შენ რა გგონია ფულს ვბეჭდავ?

როუზი ამ დილით ხომ მოგეცი ფული. არ მოგეცი რაც მქონდა?

სტივი (პირქუშად) ახლა აღარ მაქვს. ხედავ? ამ დილით ტომის მაგივრად ვითამაშე და წავაგე. აღარაფერი დამრჩა და რომც მქონდეს არ მოგცემდი. შენ გგონია ისეთი გულუბრყვილო ვარ, რომ დაგიცვა და გარჩინო იმის გამო რომ არ მიმატოვო, მაშინ როცა წასვლასაც არსად აპირებ და მომაკვდავს ტამაშობ?! თუ ფული გინდა წადი და იშოვე! სულ ესაა ჩემი სათქმელი!

როუზი (გაცოფებული) ნუთუ სულ ესაა შენი სათქმელი? სულ ეს? მაშინ მეც გეტყვი, შენგან

ვერასოდეს ვიღებ იმას რაც მჭირდება, მხოლოდ ილანძღები. ახლაც მთვრალი ხარ. ნუთუ ფიქრობ, რომ იმ კაცის

გვერდით ვიქნები, რომელიც სულ სასმელზე და გაქცევაზე ფიქრობს? დაიმახსოვრე, მე ზევრი რამის გაკეთება შემძლია!

სტივი (თვალებს ჭუტავს და ემუქრება) მხოლოდ ყბედობა შეგიძლია, გესმის? თუ გაბედავ და მიმატოვებ, ნახავ, საკადრისს მიიღებ!

როუზი (ცივად) საკადრისს მივიღებ? სულაც არ მადარდებს. გგონია ჩემი სიცოცხლე რამედ მიღირს? რაც გინდა ის ქენი, არ მადარდებს!

სტივი (წამოხტება და ხელს მოუქნევს დასარტყმელად, ყვირის) მათხოვარო, მოკეტე! (ხმაურზე ბავშვს ეღვიძება და ტირილს იწყებს)

როუზი (უმალ მშვიდდება) ჩუუ..! ბავშვი გავაღვიძეთ, ჩუმად სტივ. მე გარეთ გავალ, ნუ ღელავ, ოღონდ ჩუმად იყავი, გთხოვ. (საწოლთან მიდის და გულში იკრავს ბავშვს, ისიც მალევე იძინებს. როუზი ისევ ახველებს, უკან ბრუნდება და სახეზე ცხვირსახოცს იფარებს)

სტივი (უყურებს მას და ღვარძლიანად იცინის) მოაშორე ეს ბავშვი ამ საწოლიდან. ცოტას წაუძინებ.

როუზი კი მაგრამ სტივ, სად წაიყვანო? სხვაგან ვერ წაიყვან, ადგილი არაა!

სტივი იატაკზე დაამინე. არ მანაღვლებს სად წაიყვან?

როუზი (ვეედრება) გთხოვ სტივ! ადამიანურად მოიქეცი, არ შეგაწუხებს. უბრალოდ სძინავს. სხვა საწოლზეც შეგიძლია დაიძინო. იყოს ის აქ.

სტივი არა! ვერ გაიგე რა ვთქვი? კარგი, მაშინ მე მოვაშორებ აქედან (საწოლისკენ მიდის)

როუზი (მტკიცედ დგას სტივსა და საწოლს შორის) არ გაბედო საწოლთან მიახლოება. (ლაპარაკობს დამარცვლით, მუქარის ტონით) საკმაოდ ძლიერი ვარ და არ მიგიშვებ. არ გაბედო საწოლთან შეხება, თორემ...

სტივი (უკან არ იხევს, თუმცა ცოტა შეეშინდა) რას იზამ? არ გაბედო და არ მომატყუო. გეუბნები მოაშორე ეს ბავშვი აქაურობას, საკმარისად ავიტანე მისი ჭყვიტინი. მივაბაროთ რომელიმე ობოლთა თავშესაფარს და ეგაა. ისინი კარგად მოუვლიან. ვიცი რასაც გეუბნები, მეც იქ გავიზადე. (ცინიკურად) რას ერჩი ბავშვს? მაგარი დედა არ მყავდე შენც რა და ესეც საუცხოო ნაგავსაყრელი ბავშვის გასაზრდელად.

როუზი გთხოვ სტივ, ღვთის გულისათვის. მხოლოდ მისთვის ვცხოვრობ. თუ წაიყვან მოვკვდები.

სტივი (აგდებულად) სულ ამას გაიძახი, მაგრამ მაინც უნდა წაიყვანო აქედან. რასაც ახლა აკეთებ ზედმეტია ამ ბავშვისთვის. ათ წუთში ერთხელ ნახულობ, რამე ხომ არ აწუხებს. ამიტომაც გეჩხუბები გამუდმებით. ისედაც საკმარისად ავიტანე ყველაფერი.

როუზი (თავჩაქინდრული) გთხოვ სტივ, ღვთის გულისათვის დამაცადე მისი გაზრდა.

სტივი (ცივად) მორჩი ტირილს. კარგს არაფერს მოგიტანს. ერთ კვირას გამძლევ და ამ ღლაპს შენ თუ არ მოაშორებ აქაურობას, მაშინ მე წაიყვან სადაც საჭიროა.

როუზი რას გულისხმობ? რას იზამ?

სტივი შენს თავს დავაჭერინებ, მაშინ ბავშვიც შორს იქნება შენგან!

როუზი (აუტანელი ტანჯვით) გინდა შემაშინო არა? არა, ამას არ გააკეთებ. ხომ არ დააჭერინებ ჩემს თავს?!

სტივი მალე ნახავ დავაჭერინებ თუ არა!

როუზი არა, არ დააჭერინებ, ასე სასტიკად ვერ მომეცევი.

სტივი არა? ცოტაც მოიცადე და ნახავ.

როუზი მე ხომ ყოველთვის კარგად გექცეოდი?

სტივი მოაშორე ეს ბავშვი აქედან, თორემ მერწმუნე ნამდვილ ჯოჯოხეთში გაგიშვებ!

როუზი (გაგიჟებული მივარდება საცემად) ბინძურო ძაღლო! (ჩხუბობენ, მაგიდა გადაყირავდება, ბოლოს სტივი თავს გაითავისუფლებს როუზისგან და სახეში დაარტყამს. ქალი იატაკზე ეცემა. უცებ შემოსასვლელი კარი იღება და ტიმ მორგანი შემოდის. იგი ტანდაბალი, სქელი კაცია, მოგრძო თავით, შეჭრილი შავი თმით, წაგრძელებული კისრითა და პატარა ლურჯი თვალებით. ერთი შეხედვით დამნაშავეს გავს, მაგრამ ახლა ნამდვილ რაინდად და მხსნელად მოგვევლინა. საკმაოდ კარგად აცვია. ხელში იარაღი უჭირავს და სტივის უმიზნებს.)

ტიმი (ზიზღით უთითებს კარისკენ) აქედან გაეთრიე ტილიანო და გართ დაიცადე. (სტივის ხელი ფეხისკენ მიაქვს) ხელი მოაშორე იარაღს, თორემ, მიგახვრიტე ადგილზე! გესმის?!

სტივი (შემინებული გარბის კარისკენ) თავი ჭკვიანი გგონი, არა? სხვის საქმეში რატომ ერევი? ვინ გეკითხება? ის ჩემი გოგოა!

ტიმი გგონია გავჩუმდები და გაცლი, როგორ სცემ ქალს იმის გამო რომ შვილს უვლის? გგონია შენსავით უფულო ვარ? ნადირალა, მოშორდი აქაურობას, თორემ შუბლს გაგიხვრიტავ!

სტივი (შემოსასვლელ კართან დგას და უკან იყურება) მე შენ გაჩვენებ... ცოტაც დამაცადე! (როუზის) და შენც... (გარეთ გადის. კიბეებზე სტივის ფეხის ხმა ისმის. როუზი კარს მივარდება და ცდილობს ჩაკეტოს, მაგრამ საკეტი გატეხილია. კარს მიხურავს და სკამს მიადგამს. ატირებულ ბავშვთან მიდის, ჩხუბის გამო უყურადღებოდ დარჩა და ცდილობს დაამშვიდოს და დაამინოს. ტიმი დარცხვენილია, იარაღს შეინახავს და მაგიდაზე ჩამოჯდება. დაბნეული როუზი საწოლიდან აკვირდება სტუმარს. შემდეგ ისევ ხველა უტყდება.)

ტიმი (თანაგრძნობით) აი, ბავშვი ისევ შენთანაა, ნუ ტირი. ის აწი ველარაფერს დაგიშავებთ. კარგად ვიცნობ მისწარიებს. გარეთ ლაჩარია, სახლში კი ქალს სცემს, მაგრამ ჩემი აზრით აწი ვერაფერს გავნებთ.

როუზი არა, შენ წარმოდგენაც არ გაქვს რა შეუძლია როცა ნასვამია და შარზეა. არ მანადვლებს მე რას დამიშავებს. ვინ იცის იქნებ უკვე მკვდარიც ვყოფილიყავი, მაგრამ ბავშვი... მე უნდა მოვუარო მას (სიყვარულით უყურებს ბავშვს) არ მინდა ამ საქმეში გაერიო. არ ღირს.

ტიმი ისეთი არაფერი გამიკეთებია, ნუ ღელავ.

როუზი (იღიმის) მადლობა. მადლობელი ვარ, რომ სწორედ მაშინ მოხვედით როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდით. ღმერთმა იცის, რას გვიზამდა თქვენ რომ არ შეგეჩერებინათ.

ტიმი ჩემზე ნუ დარდობ. შემიძლია საკუთარი თავის დაცვა.

როუზი როგორ მოხდა რომ ასე დროულად შემოხვედი? Aამ სანაგვეში როგორც წესი ამ დროს არავინაა.

ტიმი თქვენს მეზობლად ვცხოვრობ. ყველაფერი გავიგონე, კარგა ხანი მესმოდა თქვენი საუბარი, მაგრამ თავს ვიკავებდი, არ მინდოდა სხვის საქმეში ჩარევა. თუმცა ამ საღამოს როცა ბავშვზე გადავიდა უკვე ვეღარ მოვითმენდი. უბრალოდ მინდოდა გამეფრთხილებინა. რატომ ხარ მასთან? რატომ არ მიდიხარ მისგან ბავშვიანად?

როუზი (ირონიულად) სათქმელად ადვილია: „რატომ არ მივდივარ მისგან?!“ არ შემიძლია.

ტიმი რას გულისხმობ? რატომ არ შეგიძლია?

როუზი არასდროს მქონდა იმდენი ფული, რომ მოვშორებოდი და ქალაქიდან წავსულიყავი. ყველაფერს მართმევდა. ამ ქალაქის სხვა რომელიმე უბანში რომ გადავსულიყავი აუცილებლად მიპოვიდა და მომკლავდა. თუ არ მომკლავდა მაშინ პოლიციას დააჭერინებდა ჩემს თავს და მერე ბავშვს რა ეშველებოდა? (მტკიცედ) სადაც უნდოდა იქ გამომკეტავდა, ციხეშიც კი.

ტიმი არ მესმის, როგორ დაგიჭერდნენ თუ არაფერს დააშავებდი?

როუზი ნარკოტიკს ჩამიდებდა. პოლიციელებთან თანამშრომლობს, ისინი კი ქუჩაში სეირნობის გამო ნამდვილად არ დამიჭერდნენ. ძალიან ჭკვიანი უნდა იყო რომ მისი ყველა ნაბიჯი გათვალო. გგადაუხდოდა და ისინიც დამიჭერდნენ და შემდეგ კი ციხეც არ ამცდებოდა.

ტიმი არ გინდა შენი ცხოვრება შეცვალო? სამუშაო იშოვო სადმე? მაშინ უკვე ვერაფერს დაგაკლებს

როუზი (აგდებულად) გგონია ვინმე ამიყვანს სამსახურში ჩემს წარსულ თუ გაიგებს? შენი აზრით სტივი არ ეტყვის მას? შენ არ იცი რასთან მიწევს ბრძოლა. (სევდიანად) თავიდან, ამ ქალაქში რომ ჩამოვედი, მინდოდა ცხოვრების წესი შემიცვალა. სამუშაოც ვიშოვე – დამლაგებლად ვირივით ვმუშაობდი დღეში თორმეტი საათი, თვეში ოცდახუთ დოლარს ვიღებდი. სახლიდან არ გამოვდიოდი, მეშინოდა ქალაქში ნაცნობს არ გადავყროდი. მაგრამ არაფერი გამოვიდა! ერთ საღამოს ჩემს პატრონებს ახლობელი ესტუმრა, თურმე ქუჩაში ვყავდი ნანახი და კლბატონსაც მოახსენა, თვლიდა რომ ეს მისი მოვალეობა იყო. ქალბატონმაც მაშინვე დამითხოვა. სამსახურის შოვნა ბევრჯერ ვცადე, თუმცა სულ უარით მისტუმრებდნენ და ახლა მეუბნები ისევ იმ ხალხს მივმართო დახმარებისთვის? სისულელეა, არაფერი გამოვა. აქ ცხოვრებას არავინ გაცლის. ღმერთია მოწამე.

ტიმი იქნებ მაინც გეცადა?! არასდროს იცი, როდის გაგიმართლებს. იქნებ ჯერ კიდევ შეგიძლია ყველაფერი შეცვალო?!

როუზი (უხალისოდ) სათქმელად ადვილია. არც კი იცი რას ამბობ. რა სამსახური უნდა ვიშოვო? თანაც ისეთი, თავის რჩენა რომ შეეძლო? სწორედ ესაა ჩვენისთანა ქალების უბედურება. სუმეტესობას უკან დაბრუნება გვინდა, თუმცა არ შეგვიძლია, არც მუშაობა შეგვიძლია, რადგან მუშაობა არ ვიცით. ეს ჩვენთვის არავის უსწავლებია, (ახველებს) შენი აზრით ვინ ამიყვანს ასეთი გარეგნობით? თან ბავშვიანს. იქნებ არ იცი რომ ხალხი სამსახურში ბავშვიანი და გათხოვილი ქალის აყვანას ერიდება.

ტიმი შეგიძლია ბავშვი ვინემს მიაბარო?

როუზი (გაბრაზებული) არა, ის ჩემთვის ყველაფერია, ცხოვრების საჩუქარია, ვერ მოვიშორებ. (ისევ ახველებს)

ტიმი (თბილად) რა საშინლად ახველებთ? საღამოს გავიგონე სტივის ეუბნებოდი, რომ ექიმთან არ ყოფილხართ. (ჯიბეში იყოფს ხელს) მე მოგცემ ექიმთან წასასვლელ ფულს.

როუზი გმადლობ, მაგრამ აზრი არა აქვს! სტივი მოვატყუე. ერთი თვის წინ ვიყავი ექიმთან. მითხრა, რომ ტუბერკულოზი მაქვს, თანაც მწვავე. თუ გამოჯანმრთელება მინდა სოფელში უნდა გადავიდე საცხოვრებლად. სუფთა ჰაერი, ჯანსაღი კვება ჩემთვის სამოთხესავით იქნებოდა. ასეც ვუთხარი. მაშინ მირჩია, რომელიმე უფასო სამკურნალო დაწესებულებაში წავსულიყავი, ბავშვი კი ვინმესთან დამეტოვებინა. ამას სიკვდილი მერჩივნა. ბოლოს გამაფრთხილა ბავშვთან მაინც ვყოფილიყავი ფრთხილად. (ქვითინებს) მმეც ასე ვიქცევი. ვცდილობ შვილს არ ვაკოცო.

ტიმი ჰო, შეიძლება გადაედოს. ეჰ, შენ ჩემზე ცუდ დღეში ყოფილხარ.

როუზი (ინტერესით) შენც პრობლემები გაქვს? რაღაც არ გეტყობა.

ტიმი მოგიყვები! შენ მითხარი, რომ ყველაფერის აკეთებ კარგად რომ იყო, მეც ასე ვარ. პატარა რომ ვიყავი ქურდობისთვის არასრულწლოვან დამნაშავეთა სკოლაში გამგზავნეს. იმდენი ჭკუა ვერ გამოვიჩინე, რომ სხვებს არ ავყოლოდი, მოზრდილების ბანდას შევეურთდი და ნამდვილ დამნაშავედ ვიქეცი. როდესაც იქიდან გამოვედი შევეცადე გამოვსწორებულიყავი და სამუშაო მეშოვნა, თუმცა როგორც კი ჩემი წარსულის შესახებ იგებდნენ ზუსტად ისევე მექცოდნენ, როგორც შენ. შიმშილისგან თავი რომ დამეღწია საჭმელს ვიპარავდი და ისევ ციხეში აღმოვჩნდი, ხუთი წლით. მივხვდი, პატიოსანი ცხოვრება არაფერს მარგებდა. ციხიდან რომ გამოვედი მძარცველთა ბანდას შევეურთდი და ახლაც ამ საქმით ვირჩენ თავს. მართალია ციხეში მრავალი წელი გავატარე, მაგრამ ახლა თავისუფალი ვარ.

როუზი და რას აპირებ?

ტიმი (გაცხარებით) რა უნდა დავაპირო? მე მძარცველი ვარ!

როუზი როდის გამოხვედი ციხიდან?

ტიმი (დაეჭვებით) რა მნიშვნელობა აქვს? (უცერად) არა, ეგ არ მიგულისხმია. კარგი ადამიანი ჩანხარ და მგონი შეგიძლია დამეხმარო.

როუზი დიდი სიამოვნებით

ტიმი მაშინ მომისმინე. (დაჟინებით უყურებს) შემომფიცებ რომ არ ჩამიშვებ?

როუზი ღმერთს გეფიცები!

ტიმი კარგი! მე ტიმ მორგანი ვარ!

როუზი (გაოცებული უყურებს) შენ? ტიმ მორგანი? შენ?! ტიმ მორგანი?! ის, ბანკი რომ გაქურდა ერთი კვირის წინ? ძებნილი ტიმ მორგანი?

ტიმი სუ! ვინმე არ გვაყურადებდეს!

როუზი (ხმადაბლა) გაზეთში წავიკითხე შენს შესახებ! (ნახევრად შეშინებული უყურებს)

ტიმი ჩემი გეშინია? სტივისნაირი გარეწარი არ გეგონო, თავადაც იცი, არ ვარ მისნაირი.

როუზი (მშვიდად) არა სულაც არ მეშინია შენი, მაგრამ იმის მეშინია არ გიპოვონ და ისევ ციხეში არ ჩაგვან. როგორ გგონია სტივმა იცის ვინ ხარ? თუ ასეა, დარწმუნებული ვარ ჯილდოს მისაღებად აუცილებლად ჩაგიშვებს.

ტიმი არა, თვალზე არ ეტყობოდა რომ მიცნო.

როუზი აქ რამდენი ხანია ცხოვრობ?

სტივი ერთი კვირაა. რაც სეიფი გავტეხე მას მერე აქ ვარ. მინდოდა ალიაქოთი ჩაწყნარებულიყო. ოთახიდან მხოლოდ საჭმელის საყიდლად გავდიოდი. ამ საღამოს შევამჩნიე, ვიღაც საეჭვოდ მიყურებდა. სანამ დროა მინდა გავეცალო აქაურობას.

როუზი შენი აზრით პოლიციელი იყო?

ტიმი მგონი, ძალიან საეჭვოდ მიყურებდა!

როუზი (გაოცებით) და მიუხედავად ყველაფერისა ამ საღამოს აქ მაინც მოხვედი. ჩემს გამო ჩაიგდე თავი საფრთხეში? (აღელვებული ტიმს ხელს ხელზე კიდებს, ის კი უკან იხევს) ძალიან სამართლიანი ბიჭი ხარ.

ტიმი (დაბნეულად) ეგ არაფერი. ყველა ასე მოიქცეოდა.

როუზი სულაც არა, ასე არავინ მოიქცეოდა. (შემოსასვლელიდან გაურკვეველი ხმა ისმის, როუზი მიმოიხედავს, შემდეგ კი სწრაფად, თითქმის ჩურჩულით ეუბნება) შენი აზრით ის კაცი პოლიციელი იყო? გეგონია მან იცის ვინ ხარ? გაქცევას აპირებ? რითი დაგეხმარო?

ტიმი (ფანჯრისკენ უთითებს) ეს სახანძრო კიბეა?

როუზი დაიხ

ტიმი სად მიდის ეს კიბე?

როუზი თუ ქვემოთ ჩახვალ – ეზოსკენ და თუ ზემოთ ახვალ მაშინ სახურავზე.

ტიმი ქვემოთ ანუ ჯოჯოხეთისკენ. არც სახურავისკენ მიმავალი გზაა უსაფრთხო. აქ დავრჩები და თუ მოვლენ მერე გავიქცევი. შენ ეტყვი რომ ჩემს შესახებ არაფერი იცი, კარგი? ჩემს გამო ცრუ კვალზე დააყენე ისინი, თუ შეგიძლია. მე კი დროს ვიხელთებ და გავიქცევი. კარგ პოზიციაზე ვიქნები.

როუზი (მტკიცედ) რამდენ ხანსაც შევძლებ შევაკავებ მათ, არ იღელვო. ვეტყვი რომ ერთი საათის წინ დაგინახე ქვემოთ ჩადიოდი.

ტიმი კარგია! (ისინი ფანჯრის რაფასთან დგანან. სტივი ქვემოდან ფანჯრის რაფას უთვალთვალავს. სახანძრო კიბეზეა მიყრდნობილი და ზიზღით უყურებს მათ. როუზს ხველა უტყდება და ცხვირსახოცს პირზე იფარებს.)

ტიმი ჩუმად... საბრალო ბავშვი. (როუზისკენ ბრუნდება და ფულის დიდ შეკვრას აძლევს, როუზი უარზეა.) გაჩუმდი, შენთან ჩხუბის თავი არ მაქვს. აიღე, ბევრი არ არის, ახლა მეტი არ მაქვს. მე არ მჭირდება, გარეთ უფრო მეტი მაქვს. Eქალაქიდან ბავშვის წასაყვანად გეყოფა. (გარეთ მდგომ სტივის სახეზე ზიზღი დაეტყო) სადმე მთაში წადი და მოიშორე ეს ხველა.

როუზი (ქვითინებს) ფულს ვერ ავიღებ. მეტისმეტად კარგად მექცევი. შენ არ იცი, მე რა ცუდი ადამიანი ვარ!

ტიმი (მოულოდნელად მკლავზე ეცემა და უხეშად კოცნის) აი, ხედავ როგორი ცუდი მგონიხარ?! შენ ყველაზე უმანკო არსება ხარ ვინც კი ოდესმე შემხვედრია (თვალეებში უყურებენ ერთმანეთს, როუზის ტკივილი სადღაც გაქრა და სახეზე სულ სხვა ემოცია იხატება. სტივი ხელს ოთახისკენ იშვერს, ტიმს უმიზნებს, მაგრამ სროლს ვერ ბედავს)

როუზი (ეხუტება) ტიმ, ტიმ, რა საოცარი ადამიანი ხარ!

ტიმი (ისევ კოცნის) მითხარი სად იქნები და როცა ყველაფერი გადაივლის ჩამოგაკითხავ. (როუზისგან თავს გაითავისუფლებს და ჯიბიდან პატარა ფურცელს ამოიღებს) ამით მიპოვი (სიყვარულით აცრემლებული) იქნებ ოდესმე ყველაფერი თავიდან დავიწყოთ, ერთად! (შემოსასვლელიდან იატაკის ფიცრის ჭრაჭუნის ხმა ესმის) ეს რა ხმაა? (კარს უყურებენ, ამ დროს სტივი ჩუმად უჩინარდება ფანჯრიდან) ისეთი შეგრძნება მაქვს თითქოს მე მომაკითხეს. ინტუიციას ჩემთვის არასოდეს ურალატია! (იარაღს იღებს და ტენის.)

როუზი (კარს მიაყურადებს) თითქოს ვიღაც კიბეებზე ჩუმად ამოდის. (ფეხაკრეფით მირბის ტიმთან და კოცნის) წადი, წადი სანამ დროა. ჩემს გამო აქ ნუ დარჩები. მიყვარხარ ტიმ.

ტიმი კარგად. როგორც კი შევძლებ მოვალ. (ისევ კოცნის და სწრაფად მიდის ფანჯარასთან. სტივი ტიმს იარაღს უმიზნებს და გულში ესვრის. ტიმი ბარბაცით ვარდება უკან. სტივი იარაღს ოთახში გაისვრის და უჩინარდება. ბავშვი ისევ ატირდება)

როუზი (ტიმს მივარდა, მის წინ დაიჩოქა და მისი თავი მკერდზე დაიდო) ტიმ, ტიმ! ხმა გამეცი, ტიმ... (გამშაგებით კოცნის)

ტიმი (თვალეები უელვარებს) ბავშვი... მთა... იმკურნალე... (მოკვდა)

როუზი (თავს ხელი გაუშვა და მის გვერდით დაჯდა, ფული ისევ მარცხენა ხელში აქვს ჩაბლუჯული, გამტერებული იყურება პირდაპირ და მონოტონური ხმით იმეორებს) მოკვდა. ღმერთო, ღმერთო, ღმერთო! (კიბეზე ფეხის ხმა ისმის. ყვირიან -A"აქ უნდა იყოს"; კარი იღება და სამი მამაკაცი შემოდის. ერთი პოლიციელია. ორი გადაცმული აგენტი. სახლის მეპატრონე ქალი და მეზობლები კარებთან დგანან და შეშინებული სახეებით იყურებიან.)

პოლიციელი (როუზთან მიდის, მკლავზე ხელს კიდებს და გამოჰყავს) გამოდი, გვამს მოშორდი. (ორივე აგენტი მიცვალებულს დახედავს თუ არა და წამოიყვირებენ) ტიმ მორგანი!

I აგენტი ხომ ვთქვი ამ საღამოს დავინახე-მეთქი. არასოდეს დამავიწყდება მისი სახე.

I აგენტი (იატაკიდან იარაღს იღებს და ამოწმებს) ვერ წარმოვიდგენდი ასეთ ადგილას თუ დარჩებოდა. არ მეგონა ასეთი სულები თუ იყო. (როუზის მიუბრუნდა) რატომ მოკალი? (ირონიულად) პატარა სიყვარულის ისტორია? (დაინახა ფული ხელში რომ ჰქონდა ჩაბლუჯული და ხელი მკლავზე სტაცა) აი რაში ყოფილა საქმე! ახლავე აღიარე ყველაფერი, აღიარე სანამ დროა! (უხეშად უყვირის როუზს) რატომ მოკალი? ამ ფულის გამო? არა? (დეტექტივის ამ სიტყვებზე როუზი თანდათან აცნობიერებს რა მდგომარეობაშიც აღმოჩნდა. სახეზე გამოუთქმელი ტანჯვა დაეტყო. მიხვდა, რომ მკვლელის მსხვერპლია. ცდილობს თავი ხელში აიყვანოს და ნაწვეტ-ნაწვეტ ლულულუდებს.)

როუზი ღმერთია მოწამე, მე არ მომიკლავს. ფული თვითონ მომცა. ვიღაცამ ფანჯრიდან ესროლა. (ცდილობდა მშვიდად, მარტივად აეხსნა ყველაფერს რაც მოხდა) მე რატომ უნდა მომეკლა?! მე ხომ ის მიყვარდა.

II აგენტი გაჩუმდი. შენი აზრით სულებები ვართ? არც ფანჯარაა ღია და არც მინაა ჩამსხვრეული. ე.ი ჯერ ფული მოგცა და მერე თავი მოიკლა?! რას გვასულებებ!

როუზი (კონტროლს კარგავს, პოლიციელებს ხელიდან დაუსხლტება და ტიმის სხეულს მივარდება) ტიმ, ტიმ, ღვთის გულისთვის. სიმართლე უთხარი. უთხარი რომ მე არ ჩამიდენია ეს, ტიმ! უთხარი, რომ შენ მომეცი ეს ფული. შენ ხომ იცი, თვითონ მომეცი ეს ფული. შენ ხომ იცი, როგორც მითხარი „აილე ფული, წადი მთებში და იმკურნალე“, უთხარი რომ ასე მითხარი, ტიმ, ამათაც უთხარი! უთხარი რომ მიყვარდი, ტიმ, უთხარი რომ მინდოდა დაქცევაში დაგხმარებოდი. უთხარი რომ მაკოცე. მათ ჰგონიათ, მე გესროლე. არ იციან რომ მიყვარდი. ღვთის გულისათვის, რამე უთხარი მათ. (ტირის, თან ძლიერად ახველებს) ო, ღმერთო რატომ არ ეუბნები, რატომ არ ეუბნები!

I აგენტი (ცინიკურად) მშვენივრად მოგიფიქრებია, მაგრამ არაფერს გიშველის. (ორ მეგობარს მიუტრიალდა) ან ნასვამია, ან ნარკოტიკითაა გაბრუებული. აჯობებს იქ წაიყვანოთ სადაც საჭიროა და განცხადებაც მერე გააკეთოთ. მე აქ დავრჩები. მისი მოჩვენებითი ხველა მაგიჟებს.

როუზი (პოლიციელი მხარზე ეხება, იგი ღიზიანდება და ეწინააღმდეგება) ხომ გითხარით, მე არ ჩამიდენია. ფანჯრიდან ესროლეს. რატომ არ მიჯერებთ?! გეფიცებით, მე... (ჩუმდება, პოლიციელების ცინიკური სახეების დანახვაზე ხვდება რომ მისი წინააღმდეგობა უსარგებლოა. შემოსასვლელიდანაც ფერმკრთალი სახეებით აკვირდებიან, აშკარაა არავინ უთანაგრძნობს. ბავშვი ისევ ტირის. როუზმა მხოლოდ ახლა შენიშნა ეს,



ცდილობს მასთან მივიდეს და დაამშვიდოს, თუმცა პოლიციელი აჩერებს და მკლავზე კიდებს ხელს. როუზი მექანუკურად ბავშვს ესაუბრება. ბავშვი ჩუმდება. ყველა მათ უყურებს, თუმცა თანაგრძნობის გარეშე. როუზი რეალობას მოწყვეტილია. ბრმასავით შორს იყურება. მის მდგომარეობას ვერავინ აცნობიერებს. ულმოზელმა ცხოვრებამ როუზი გაანადგურა.)

| აგენტი           შენი შვილია?

როუზი            დიახ, ალბათ მასაც წაიყვანთ!

| აგენტი           (გაოცებულია ბავშვის სილამაზით) ბავშვს მე მივხედავ, სანამ ცოცხალი ვიქნები.

როუზი            (უაზროდ) კარგ სამსახურს გამიწევ. მარტო დარჩენილი როუზი თავს ხელებში ჩარგავს.)

ღმერთო, ღმერთო, რა დაგიშავე ასეთი!

პოლიციელი (შეცბუნებული) ღმერთს ნუ სცოდავ! ახლა წავიდეთ. (როუზი პოლიციელს დამორჩილდა და კარისკენ გაჰყვა, შეშინებულმა მობინადრეებმა გზა გაუთავისუფლეს. მეორე აგენტი უკან გაწყვდა მათ. როუზის ხველება ექოსავით ისმის ბნელ კორიდორში. ბავშვი დროდადრო ტირის. პირველი აგენტი კი თბილად ეთამაშება და ცდილობს გააჩუმოს)

ბავშვი (ყრუდ) დედააააააა.....

| აგენტი           დედა წავიდა, ახლა მე ვარ შენი დედიკო!

(ფარდა)